



შპს გუდაურმშენი

429321922

ფინანსური ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

შპს გუდაურშენი 429321922

ფინანსური ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

სარჩევი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2018 წლის 31 დეკემბრით
დასრულებული წლის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და
დამტკიცების შესახებ

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
სრული შემოსავლის ანგარიშგება	4
კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება	5
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	6-16

შპს გუდაურმენი 429321922

ფინანსური ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს შპს „გუდაურმენი“-ს („შემდგომში - კომპანია“) ფინანსურ მდგომარეობას 2017 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობასა და კაპიტალში ცვლილებებს 2017 და 2018 წლების 31 დეკემბრით დასრულებული წლებისთვის, მის ფასს სტანდარტების შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულ შესრულებაზე;
- ინფორმაციის წარდგენაზე, ბუღალტრული პოლიტიკის ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს მართებულ, საიმედო, შესადარის და გასაგებ ინფორმაციას;
- დამატებითი ინფორმაციის წარდგენის უზრუნველყოფაზე, იმ შემთხვევაში, თუ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების სპეციფიური მოთხოვნები არ არის საკმარისი იმისთვის, რომ მომხმარებელმა გააანალიზოს კონკრეტული გარიგების, სხვა მოვლენებისა და პირობების გავლენა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობასა და შედეგებზე;
- კომპანიის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების პრინციპის საფუძველზე კომპანიის მუშაობის უნარის შეფასებაზე.


ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- კომპანიაში ეფექტური და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც წარმოადგენს და ხსნის კომპანიის გარიგებებს და ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს კომპანიის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენასა და მის ფასის შესაბამისობას;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე; და
- თაღლითობა და სხვა დარღვევების თავიდან აცილებასა და აღმოჩენაზე.

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის წარმოდგენილი ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ გამოსაქვეყნებლად დამტკიცებულია და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2019 წლის 5 აგვისტოს.

ხელმოწერი პირები:

დირექტორი
კობა კობაიძე



ფინანსური დირექტორი
მიხეილ ბურდული



5 აგვისტო 2019

თბილისი, საქართველო

შენიშვნები 9-22 გვერდებზე წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს გუდაურშენი 429321922

ფინანსური ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

(ლარი)

აქტივები	შენიშვნები	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	6	174 618	153 000
სულ გრძელვადიანი აქტივები		174 618	153 000
მიმდინარე აქტივები			
სასაქონლო მატერიალური ფასეულობები	8	59 910	31 188
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	9	126 961	62 903
საგადასახადო აქტივი		2 928	1 892
ფული და ფულის ექვივალენტები	10	49 160	27 426
სხვა მომდინარე აქტივები		201 453	-
სულ მიმდინარე აქტივები		440 412	123 409
სულ აქტივები		615 030	276 409
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	11	2 000	2 000
გაუნაწილებელი მოგება		347 433	180 915
სულ კაპიტალი		349 433	182 915
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	12	209 352	0
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		209 352	0
მიმდინარე ვალდებულებები			
ვალდებულებები პერსონალის წინაშე	13	1 875	0
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	13	54 370	93 494
სულ მიმდინარე ვალდებულებები		56 245	93 494
სულ ვალდებულებები		265 597	93 494
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		615 030	276 409

ხელმოწერილი პირები:

დირექტორი
კობა კობაიძე



ფინანსური დირექტორი
მიხეილ ბურდული



5 აგვისტო 2019

თბილისი, საქართველო

შენიშვნები 9-22 გვერდებზე წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს.

შპს გუდაურშენი 429321922

ფინანსური ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

სრული შემოსავლის ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბერი
(ლარი)

	შენიშვნები	31 დეკემბერი 2018
შემოსავალი	14	7 050 161
გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება	15	(4 446 228)
საერთო მოგება/(ზარალი)		2 603 933
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	18	2 256 500
საოპერაციო მოგება/(ზარალი)		347 433
მოგების გადასახადი		-
წლის წმინდა მოგება		347 433

ხელმოწერილი პირები:

დირექტორი
კობა კობაიძე



ფინანსური დირექტორი
მიხეილ ბურდული



5 აგვისტო 2019
თბილისი, საქართველო

შენიშვნები 9-22 გვერდებზე წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს


შპს გუდაურშენი 429321922
 ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
 2018 წლის დეკემბერი
 (ლარი)

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება
 (ლარი)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
ბალანსი 1 იანვარი 2017	2000	180915	182915
მოგება წლის განმავლობაში	-	0	
კაპიტალის ცვლილება	-	-	0
ბალანსი 31 დეკემბერი 2017	-	180915	182915
მოგება წლის განმავლობაში	2000	347433	349433
გამოკლებული: დარიცხული დივიდენდი	-	(-)	0
ბალანსი 31 დეკემბერი 2018	2000-	347433	349433

ხელმოწერი პირები:

დირექტორი
 კობა კობაიძე



ფინანსური დირექტორი
 მიხეილ ბურდული



5 აგვისტო 2019
 თბილისი, საქართველო

შენიშვნები 9-22 გვერდებზე წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს.

1. შესავალი

კომპანია და მისი საქმიანობა

შპს „გუდაურშენი“ (შემდგომში „კომპანია“) შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიაა, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დაარსდა და დარეგისტრირდა სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ 2015 წლის 3 ივლისს. ფინანსური ანგარიშგების თარიღისთვის, ფიზიკური პირი, მიხეილ ბურდული პ/ნ 16001007774, წარმოადგენს კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელს.

კომპანიის ძირითადი საქმიანობას წარმოადგენს ქვიშა ღორღის გადამუშავება, სამშენებლო მასალების წარმოება და რეალიზაცია,

კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, დუშეთის რ-ნი, ს. არახვეთი.
კომპანიის ფაქტიური მისამართია საქართველო, გუდაური ს. საყურიათი.
ანგარიშგების ვალუტა. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ქართულ ლარში.

წარმოდგენილი ანგარიშის ვალუტა

კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (GEL). ოპერაციები უცხოურ ვალუტაში, თავდაპირველად ჩაწერილია ფუნქციონალურ ვალუტაში ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით. ანგარიშის პერიოდისთვის უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივები გადაყვანილია ფუნქციონალურ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წლის ბოლოს არსებული კურსით. ანგარიშსწორებისას წარმოქმნილი ყველა საკურსო სხვაობა ასახულია მოგება-ზარალზე. (შემოსავალში ან ხარჯში)

უცხოური ვალუტის მონეტარული ნაშთების კონვერტირებისათვის გამოყენებული გაცვლითი კურსები არის შემდეგი:

	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
1 აშშ დოლარი/ ლარი	2.6766	2.5922
1 ევრო/ლარი	3,0701	3,1044

2. კომპანიის საოპერაციო გარემო

საქართველო ავლენს ზრდადი ბაზრის გარკვეულ მახასიათებლებს, რომელიც შეიცავს ვალუტის არსებობას, რომლის კონვერტაციაც ვერ ხდება თავისუფლად სხვა ქვეყნების უმრავლესობაში, შედარებით მაღალი ინფლაცია და ძლიერი ეკონომიკური ზრდა.

საქართველოს საგადასახადო, სავალუტო და საბაჟო კანონმდებლობა ექვემდებარება განსხვავებულ ინტერპრეტაციებს და ხშირ ცვლილებებს. ამასთანავე საქართველოში მოქმედი კომპანიები დგანან არაერთი გამოწვევის წინაშე, რომელიც გამოწვეულია გაკოტრების კანონების განვითარების საჭიროებით, გირავნობის რეგისტრაციის და აღსრულების ფორმალური პროცედურების არარსებობით და სხვა სამართლებრივი და ფისკალური დაბრკოლებებით. საქართველოს მომავალი ეკონომიკური მიმართულება მნიშვნელოვნად დამოკიდებულია, როგორც მისი მთავრობის მიერ გატარებული ეკონომიკური, ფინანსური და მონეტარული პოლიტიკაზე, ასევე სამართლებრივ, მარეგულირებელ და პოლიტიკური გარემოზე.

მენეჯმენტს არ შეუძლია სანდოდ შეაფასოს ფინანსური ბაზრის ლიკვიდურობის შემცირების და სავალუტო ბაზრის გაზრდილი არასტაბილურობის გავლენა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე. მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ ისინი იღებენ ყველა საჭირო ზომას, რომ ხელი შეუწყოს კომპანიის მდგრადობას და განვითარებას არსებულ პირობებში.

3. მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

მომზადების საფუძვლები

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება წარმოადგენს პირველ წლიურ ფინანსურ ინფორმაციას, რომელიც მომზადებულია საერთაშორისო საბუღალტრო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოქვეყნებული მცირე და საშუალო საწარმოებისთვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) მიხედვით.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მენეჯმენტის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვებაზე. მენეჯმენტის შეფასებით, კომპანია გააგრძელებს ფუნქციონირებად საწარმოდ საქმიანობას, რეალიზებას გაუკეთებს აქტივებს და დაფარავს ვალდებულებებს ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პროცესში.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ფინანსურ ანგარიშგებაში თანხები წარმოდგენილია დამრგვალების გარეშე, ქართულ ლარში.

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ფულს ბანკში და ატარებს ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს. ფულადი საშუალებები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. შეზღუდული ნაშთები გამოირიცხება ფულადი საშუალებებისგან ფულადი ნაკადების ანგარიშგების მიზნებისთვის. შეზღუდული ნაშთები რომელთა გამოყენება არ შეიძლება 12 თვის განმავლობაში ვალდებულებების დასაფარად ან სხვა გაცვლითი ტრანზაქციებში გამოყენებისაგან აღიარდება ბალანსზე როგორც სხვა გრძელვადიანი აქტივები.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასით. შემდგომ ხდება მათი შეფასება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, გამოვლენილია გაუფასურების რეზერვი.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების აფასება ვერ მოხდა რადგან წარმოდგენს მნიშვნელოვან დანახარჯებს . შემდგომი წლის ანგარიშგებისთვის კომპანია გეგმავს ძირითადი საშუალებების აფასებას .

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები აღირიცხულია მათ თავდაპირველ თვითღირებულებას, დაკლებული დაგროვილი ცვეთა და დაგროვილი გაუფასურების ღირებულებით. ძირითადი საშუალების თვითღირებულება შედგენილია შესყიდვის ფასისგან, მასთან დაკავშირებული იმპორტის გადასახადების, გამოუქვითავი გადასახადების და სხვა პირდაპირი ხარჯების ჩათვლით. მცირე შეკეთება-განახლება აღიარდება მოგება/ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე.

ყველა აქტივი წარმოდგენილია საწყისი ღირებულებით, გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ზარალი.

ძირითადი საშუალებების ჩამოწერა/რეალიზაციიდან მისაღები თანხების საბალანსო ღირებულებასთან შედარებით განსაზღვრული სარგებელი და ზარალი აღიარდება მოგება-ზარალში.

ძირითადი საშუალებების გამოყენების ხანგრძლივობა

კომპანია აკეთებს ძირითადი საშუალებების გამოყენების ხანგრძლივობის შეფასებას, სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით, როგორებიცაა: ტექნიკური ან კომერციული მოძველება, მოსალოდნელი წარმადობა, სიმძლავრე და ფიზიკური მდგომარეობა, რაც დამოკიდებულია ოპერაციულ ფაქტორებზე. მიუხედავად იმისა, რომ ხელმძღვანელობა ცდილობს მაქსიმალურად ზუსტად შეაფასოს ძირითადი საშუალებით გამოსახული მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოხმარების მოდელი, ის შეიძლება მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს რეალური შედეგებისგან, რამაც შესაძლოა მატერიალური გავლენა იქონიოს ფინანსურ ანგარიშგებებში წარმოდგენილ მონაცემებზე.

ცვეთა

კომპანია ფლობს მიწის ნაკვეთს. შენობას. სხვადასხვა მოძრავ ძირითად საშუალებებს. 1000 ლარამდე ძირითად საშუალებებს. ცვეთა ძირითად საშუალებებზე გამოთვლილია წრფივი მეთოდით, მათი შესყიდვის ხარჯის გადანაწილება ხდება მათი სასარგებლო ვადის განმავლობაში:

	სასარგებლო გამოყენების ვადა (წელი)
მანქანა დანადგარები	7-12
სამშენებლო მასალები	7-12
ავეჯი და ინვენტარი	7-10
სატრანსპორტო საშუალებები	7-12

ძირითადი საშუალების ობიექტის აღიარება წყდება მისი გასხვისებისას ან როდესაც მისი შემდგომი გამოყენებიდან მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები წარმოადგენს შეძენილ კომპიუტერულ პროგრამულ უზრუნველყოფას, რომელიც ასახულია თვითღირებულებით, საიდანაც გამოკლებულია დაგროვილი ამორტიზაციისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალი.

არამატერიალური აქტივების აღიარება წყდება მისი გასხვისებისას ან როდესაც მისი შემდგომი გამოყენებიდან მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი.

სესხები, სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სესხები თავდაპირველად აღიარდება მაშინ, როდესაც კომპანია ხდება სახელშეკრულებო ურთიერთობების მონაწილე მხარე. სესხები აღიარდება გარიგების ფასით (ეს არის ბანკში გადასახდელი ფულის დისკონტირებული ღირებულება რომელიც შეიცავს გარიგების ხარჯსაც). სესხების შემდგომი შეფასება ხდება ამორტიზირებული ღირებულებით. საპროცენტო ხარჯი გამოითვლება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით და აღიარდება ფინანსურ ხარჯად.

სესხები კლასიფიცირდება მიმდინარე ვალდებულებად, იქამდე სანამ, საწარმოს არ გააჩნია ვალდებულებების დაფარვის გადავადების უპირობო უფლება საანგარიშო პერიოდის შემდეგ სულ მცირე 12 თვის განმავლობაში.

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ვალდებულებებს, რომლებიც წარმოიქმნება სტანდარტული საკრედიტო პირობებით და თავდაპირველად აისახება გარიგების ფასით.

საწარმო ფინანსური ვალდებულებების აღიარებას მხოლოდ იმ შემთხვევაში წყვეტს, როდესაც ის შესრულდება, ე.ი. როდესაც ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულება დაიფარება, გაუქმდება ან ვადა გაუვა.

იჯარა

საოპერაციო იჯარა განსხვავდება ფინანსურისაგან. საოპერაციო იჯარის გადახდები აღირიცხება შესაბამისი პერიოდის საოპერაციო ხარჯებად მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, წრფივი მეთოდით, იჯარის ვადის განმავლობაში.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი წარმოადგენს მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებას, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად დასკვნის თარიღისთვის ამოქმედებული კანონმდებლობის მიხედვით. კომპანიისთვის მოგების გადასახადი არ წარმოადგენს მიმდინარე გადასახადს და არ აღიარდება მოგება ზარალის ანგარიშგებაში, რადგან კომპანიას გააჩნია მაღალმთიანი საწარმოს სტატუსი და იგი განთავისუფალია ამ სახის გადასახადისგან.

სასაქონლო მატერიალური ფასეულობები

საწარმოს მარაგების ღირებულება განისაზღვრება უმცირესით ხარჯსა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის. მარაგების ღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი მეთოდით. ნეტო სარეალიზაციო ღირებულება განისაზღვრება ნორმალური ბიზნესის მიმდინარეობის პირობებში გასაყიდ ფასსა და დასრულებისა და გაყიდვის მოსალოდნელ ხარჯებს შორის. ასევე ისეთ დანახარჯებს, რომლებიც გაწეულია მის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისათვის და სათანადო მდგომარეობაში მოსაყვანად.

თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდის გამოყენებით.

დივიდენდები

საწარმოს დივიდენდები აღირიცხული აქვს, როგორც ვალდებულება და აკლდება კაპიტალს იმ პერიოდში, როდესაც ხდება მისი გამოცხადება, დამტკიცება და განაწილება. ნებისმიერი დივიდენდი, გამოცხადებული საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ და ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებამდე, გაშვავდება შემდგომი პერიოდის მოვლენების შენიშვნაში.

პერსონალის ხარჯი და მასთან დაკავშირებული შენატანები

ხელფასები, შენატანები საქართველოს საპენსიო და სადაზღვევო სისტემაში, წლიური შვებულების და ავადმყოფობის ანაზღაურებები, დეკრეტული ანაზღაურებები, ბონუსები და არა-ფულადი სარგებლები აღირიცხება იმ წელს, როდესაც მოხდება შესამაზის სერვისის მიღება თანამშრომლების მიერ.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობები, დაშვებები და შეფასებები

კომპანია აკეთებს შეფასებებსა და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენენ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე, შეფასებების მომზადება მოითხოვს მენეჯმენტის მხრიდან გარკვეული შეფასებების და დაშვებების გაკეთებას, რომელიც გავლენას ახდენს მოგების, ხარჯების, აქტივების და ვალდებულებების ღირებულებაზე და მათ შესაბამის შენიშვნებზე და პირობითი ვალდებულების შენიშვნაზე. უზუსტობამ აღნიშნულ შეფასებებში და დაშვებებში შესაძლოა გამოიწვიოს ისეთი შედეგი, რომელიც საჭიროს გახდის აქტივის საბალანსო ღირებულების მატერიალურ კორექტირებას ან გავლენას მოახდენს ვალდებულებას მომავალ პერიოდში.

5. სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილება

ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკაში არ გამოვლენილა. შესადარი ინფორმაცია დარჩა უცვლელი წინა სააღრიცხვო პერიოდის შემდგომ.

ხელმოწერი პირები:

დირექტორი
 კობა კობაიძე

ფინანსური დირექტორი
 მიხეილ ბურდული

6. ძირითადი საშუალებები

	ოფისის აღჭურვილობა და ავეჯი	სატრანსპორტო საშუალებები	სამშენებლო იარაღები	ჯამი
2017 წლის 31 დეკემბერი	19 700	112 054	20 284	152 038
ცვეთის ხარჯი	(1 970)	(10 800)	(2 028)	(14 798)
2018 წლის 31 დეკემბერი	17 730	100 849	18 256	137 240

7. კომპანიას ბალანსზე ერიცხება საკარმიდამო -სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი საკადასტრო მონაცემებით 74.06.12.572 საქართველო გუდაური , დაზუსტებული ფართობი 6600 კვ/მეტრი. შენობა-ნაგებობა #1 .

ხელმოწერი პირები:

დირექტორი
 კობა კობაიძე

ფინანსური დირექტორი
 მიხეილ ბურდული

8. სასაქონლო მატერიალური მარაგი

სასაქონლო მატერიალური მარაგი	31-დეკ-18	31-დეკ-17
ნედლეული და მასალები	59 910	31 188
სულ სასაქონლო მატერიალური მარაგი	59910	31188

2017 წლის განმავლობაში მარაგები არ გახარჯულა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებით არ ჩამოიწერილა თვითღირებულებაში.

2018 წლის განმავლობაში მარაგები არ გახარჯულა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებით არ ჩამოიწერილა თვითღირებულებაში.

9. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	31-დეკ-18	31-დეკ-17
სავაჭრო მოთხოვნები	108 715	54 675
გაცემული ავანსები	21 174	10 120
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	129 889	64 795

10. ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები	31-დეკ-18	31-დეკ-17
თანხა ბანკში	23160	15126
თანხა სალაროში	26000	12300
სულ ფული და ფულის ექვივალენტები	49160	27426

11. კაპიტალი

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით უშუალო მფლობელია:

მიხეილ ბურდული -100%

საზოგადოების დივიდენდების განაწილების პრინციპი განისაზღვრება დამფუძნებლის მიერ დამტკიცებული წლიური ბალანსის საფუძველზე საზოგადოების კაპიტალის, კაპიტალური დანახარჯების, დავალიანებისა და სხვა ფინანსური მოთხოვნების გათვალისწინებით.

12. სესხები

ორგანიზაცია	სესხის გაცემის თარიღი	დაფარვის თარიღი	საპროცენტო სარგებელი	ვალუტა	31 დეკემბერი 2018
სს ხალიკ ბანკი	20-12-2018	20-03-20	8.00%	USD	78 506
სულ სესხები					78 506
ძირი					72 225
პროცენტი					6 280

13. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	31-დეკ-2018	31-დეკ-2017
სავაჭრო ვალდებულებები	54 370	93 494
სახელფასო ვალდებულებები	1 875	-
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულება	56 242	93 494

აღნიშნული ვალდებულებების ვადები და პირობები:

- სავაჭრო ვალდებულებებს არ ერიცხებათ პროცენტი და მათი დაფარვა ხდება ყოველთვიურად ფინანსური წლის განმავლობაში;
- გადასახდელ ხელფასებსა და სხვა ვალდებულებებს არ ერიცხებათ პროცენტები და ჩვეულებრივ მათი დაფარვა ხდება 1 თვის ვადაში.

14. შემოსავალი

შემოსავალი	2018
შემოსავალი რეალიზაციიდან	7 050 161
სულ შემოსავალი	7 050 161

15. თვითღირებულების ხარჯი

თვითღირებულების ხარჯი	2018
თვითღირებულება	4 446 228
სულ თვითღირებულება	4 446 228

16. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	2018
ხელფასები	347 303
საკომისიო ხარჯები	5 872
იჯარის ხარჯი	529 935
მომსახურების ხარჯები	120 354
კომუნალური ხარჯები	5 000
ცვეთის ხარჯი	14 798
კომუნიკაციის ხარჯები	550
საწვავის ხარჯი	675 700
სხვა ხარჯები	556 988
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	2 256 500

ხელმძღვანელი პირები:

დირექტორი
 კობა კობაიძე

ფინანსური დირექტორი
 მიხეილ ბურდული

17. მოგების გადასახადი

2016 წლის ივნისში საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში კორპორატიული საშემოსავლო გადასახადის მიმართ ამოქმედდა ცვლილებები. ცვლილებები ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან ყველა ქართული კომპანიისთვის, გარდა ბანკების, სადაზღვეო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციების, რომელთათვისაც აღნიშნული კანონი ძალაში 2019 წლის 1 იანვრიდან შევიდა. ახალი რეგლამენტის მიხედვით, საშემოსავლო გადასახადი დაკისრებულია მოგებაზე რომელიც განაწილებულია დივიდენდების სახით დამფუძნებლებზე, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები. დივიდენდების განაწილებაზე გადასახდელი გადასახადის ოდენობა განისაზღვრება წმინდა განაწილების მოცულობის 15/85-ით. კომპანიებს შესაძლებლობა ექნებათ 2008-2016 წლებში მიღებული აღნიშნული სახის საშემოსავლო გადასახადი გადაიხადონ მიმდინარე რეგულირების შესაბამისი პერიოდისთვის გადახდილი საშემოსავლო გადასახადის ოდენობით. დივიდენდების განაწილება საქართველოს რეზიდენტ კომპანიებს შორის არ ექვემდებარება აღნიშნულ საშემოსავლო გადასახადს.

ზემოთ აღწერილი საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებები ასევე ითვალისწინებს კორპორატიული საშემოსავლო გადასახადის დაწესებას გარკვეულ გარიგებებზე, რომლებიც ითვლება მოგების განაწილების გათვალისწინებით, მაგალითად ზოგიერთი გარიგება არასაბაზრო ფასში, არა ბიზნესთან დაკავშირებული ფასები ან საქონლის უფასო მიწოდება. ასეთი გარიგების დაბეგვრა ბასს 12 საშემოსავლო გადასახადის ფარგლებს მიღმა და დაიწყება 2017 წლის 1 იანვრიდან საოპერაციო გადასახადების მსგავსად.

როგორც ზემოთ აღინიშნა კომპანიას გააჩნია მაღალმთიანი საწარმოს სტატუსი და იგი გათავისუფლებულია მოგებისა და ქონების გადასახადებისაგან.

18. პირობები და ვალდებულებები

კომპანიის ხელმძღვანელობა საკუთარი შეფასებისა და შიდა პროფესიული რჩევების საფუძველზე მიიჩნევს, რომ მატერიალურ დანაკარგებს არ ქონია ადგილი და შესაბამისად ფინანსურ ანგარიშგებაში არ აღნიშნულა არავითარი დებულება ამასთან დაკავშირებით.

საგადასახადო კანონმდებლობა

საქართველოს საგადასახადო ორგანოებმა კანონმდებლობისა და საგადასახადო შემოწმების ინტერპრეტაციაში შესაძლებელია უფრო დახვეწილი და საიმედო მიდგომა განახორციელონ და შესაძლებელია რომ ისეთი საქმიანობის და გარიგების სახეები იქნას გამოწვეული, როგორსაც წარსულში არ ქონია ადგილი. შედეგად შეიძლება შეფასდეს მნიშვნელოვანი დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და ინტერესი. კომპანია მიიჩნევს, რომ მათ გადაიხადეს საგადასახადო კანონით მოთხოვნილი გადასახადები და რომ დამატებითი რეზერვების შექმნა ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის საჭირო.

საინვესტიციო ვალდებულებები


კომპანიას არ აქვს საინვესტიციო ვალდებულებები 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

19. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ დასკვნის გაშვებამდე მნიშვნელოვანი მოვლენები არ დაფიქსირებულა.

ხელმომწერი პირები:

დირექტორი:
კობა კობაიძე



ფინანსური დირექტორი
მიხეილ ბურდული

